

1960

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 19 (117)

10 ნოემბერი

1960 წ.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

- 186. ოქმი სსრ კავშირისა და კანადას შორის სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.
- 187. ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ.
- 188. შეთანხმება ავადმყოფობათა და მკურნალობის მცენარეთა დაცვისა და კარანტინის დარგში თანამშრომლობის შესახებ.
- 189. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-განის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
- 190. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გამირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 191. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლეიტენანტ ა. ვ. ლეინას წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრევენეს რწმუნების სიგელები გადასცა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ ფრენკ რობერტსმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

- 192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო მასშობრთლოების არჩევნების შესახებ.





სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

186 ოქმი სსრ კავშირსა და კანადას შორის სავაჭრო შეთანხმების
მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

1956 წლის 29 თებერვალს ოტავაში სამი წლის პერიოდით დადებულ საბჭო-
თა კავშირ-კანადის სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლასთან და-
კავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და
კანადის მთავრობა, გამოსთქვამენ რა სურვილს ურთიერთ შორის სარგებლია-
ნობის საფუძველზე ორ ქვეყანას შორის საქონლის ბრუნვის მოცულობის შემდ-
გომი გადიდებისა და ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, შეთანხმდნენ
ქვემოთაღნიშნულზე:

1. 1956 წლის 29 თებერვლის სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალის-
ტური რესპუბლიკების კავშირსა და კანადას შორის, 9 მუხლის გამოკლებით,
აგრეთვე იმ წერილებში გამოთქმული თანხმობა, რომლებითაც მხარეებმა მი-
მართეს ერთმანეთს იმავე დღეს ბაჟის გადახდევინებისათვის საქონლის ლირებუ-
ლების განსაზღვრის შესახებ, გრძელდება სამი წლის პერიოდით ამ ოქმის ხე-
ლის მოწერის თარიღიდან.

2. ორი მთავრობიდან თვითეული კეთილსასურველად განიხილავს ყოველ-
გვარ წინადადებას, რომელსაც შემოიტანს მეორე მთავრობა ამ ოქმის შესრუ-
ლების მიმართ, აგრეთვე სხვა საკითხების მიმართ, რომელთაც მნიშვნელობა
აქვთ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობისათვის.

3. ეს ოქმი რატიფიცირებულ იქნება შეთანხმების დამდები ორივე მხარის
მიერ რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში და ძალაში შევა დროებით მისი ხელის
მოწერის დღეს და საბოლოოდ — სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს,
რომელიც მოხდება ოტავაში. ოქმი ძალაში დარჩება ხელის მოწერის დღიდან
სამი წლის განმავლობაში.

დადებულია მოსკოვში 1960 წლის 18 აპრილს ორ ეგზემპლარად, თვითე-
ული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა
აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის მთავრობის რწმუნებით
ნ. პატოლიჩივი.

კანადის მთავრობის
რწმუნებით
ბ. ჩარჩილი.



რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ
1960 წლის 25 ივლისს; კანადის მთავრობის მიერ — 1960 წლის 26 აგვისტოს.
სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ოტავაში 1960 წლის 16 სექ-
ტემბერს.

187 საპროტა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანამშრომლობის შესახებ

საპროტა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომლებიც ხლომძღვანელობენ სურვილით განავითარონ და გააღრმავონ მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე სახელმწიფოს შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საპროტა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — **მ. გ. პერვუხინი**, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა — **ვალტერ ზაინიკე**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომისა და ხელფასის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო წესრიგზე და ჯეროვან ფორმაში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთოყვანილზე:

ნაწილი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს ხელშეკრულება ვრცელდება მოქალაქეთა ყველა სახეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე, რომელიც დადგენილია ან დადგენილ იქნება ხელშეკრულების დამდები მხარეების კანონმდებლობით.

2. სოციალური უზრუნველყოფა გულისხმობს ყველა სახეობის მატერიალურ უზრუნველყოფას, რომელსაც საპროტა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აძლევენ მოქალაქეებს ავადმყოფობის შემთხვევაში, ორსულობისა და მშობიარობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის გამო, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის გამო და ხელშეკრულების დამდები მხარეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქენი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, სო-

ციალური უზრუნველყოფისა და შრომითი ურთიერთობის ყველა საკითხშიც უზრუნველყოფისა და შრომითი ურთიერთობის ყველა საკითხშიც მთლიანად გაუთავისებრიან ხელშეკრულების დაიდებ ამ მხარის მოქალაქეებს, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნაწილი მეორე

სოციალური უზრუნველყოფის განხორციელება

მუხლი 3

1. სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს გამოიყენება ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს მოქალაქე, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სოციალურ უზრუნველყოფას ახორციელებენ ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს მოქალაქე, რომელმაც აღმოა შეუადგომლობა სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისად, თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 4

პენსიებისა და დახმარებების დანიშვნის დროს მთლიანად ჩაითვლება მუშაობის სტაჟი (დაზღვევის სტაჟი), მათ შორის პენსიების შეღავათიან ანობებში და შეღავათიანი ოდენობით მისაღები სტაჟი, რომელიც მოაოვებულა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ტერიტორიაზე და ორიველიც დასაწყებულა ხელშეკრულების დაიდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომლის ტერიტორიაზე იცხა მოპოვებული სტაჟი.

მუხლი 5

1. პენსიებს ნიშნავენ და იხდიან ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე პენსიის დასანიშნავად მიმართვის დღისათვის მუდმივად ცხოვრობს მოქალაქე, რომელსაც პენსიის დანიშვნის უფლება აქვს, და ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობით.

2. თუ პენსიონერი ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდა ხელშეკრულების დაიდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, მათის პენსიის გადახდა შეწყდება იმ თვის დამთავრებიდან, როცა იონდა გადასახლება.

3. ხელშეკრულების დამდები მხარეების კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე გადასახლდა პენსიონერი, გადასახლების შემდეგ აღლევს პენსიონერს პენსიის თავისი კანონმდებლობის თანახმად. პენსიის უფლება არ გადაინჯება იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთივე სახის პენსიას. მოხუცებულობის პენსიის მიცემა ხდება იმ პირობით, თუ მიღწეულია ასაკი, რომელიც საჭიროა

პენსიის დასანიშნავად, ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზე პენსიოხერი გადასახლდა.



4. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან ხელშეკრულების დასდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გადასახლებულ და გადასახლების შემდეგ მომუშავე მოქალაქეების პენსიებისა და დახმარების გამოანგარიშება მოხდება იმ ხელფასის მიხედვით, რომელიც მათ ჰქონდათ სამუშაოზე გადასახლების შემდეგ. პენსიისა და დახმარების ოდენობის განსაზღვრის საჭიროების შემთხვევაში გადასახლებამდე ხელფასის გამოანგარიშების საფუძველად აღებულ იქნება შესაბამისი კვალიფიკაციისა და ანალოგიური მოსაქმეობის მუშაკის საშუალო ხელფასი იმ ქვეყნისა, სადაც გადასახლდნენ პენსიის ან დახმარების უფლების მქონე პირები.

5. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან ხელშეკრულების დასდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გადასახლებულ მოქალაქეებს, რომლებსაც გადასახლების შემდეგ არ უმუშავიათ, პენსიები და დახმარებები გამოანგარიშებათ იმის კვალობაზე, თუ რა საშუალო თვიური ხელფასი აქვს პენსიის ან დახმარების დანიშვნის დროისათვის შესაბამისი კვალიფიკაციისა და ანალოგიური მოსაქმეობის მუშაკს იმ ქვეყანაში, სადაც ისინი გადასახლდნენ.

მუხლი 6

1. ფულად დახმარებებს სოციალური უზრუნველყოფით, მათ შორის დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო, დახმარებას ბავშვების შესანახავად და აღსაზრდელად, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვების დაბადებისათვის ნიშნავენ და იხდიან ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს მოქალაქე, და ხელშეკრულების დამდები ამ მხარის კანონმდებლობით.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე, რომელიც დახმარებას იღებს, ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიიდან გადასახლდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, დახმარების გადახდა წყდება გადასახლების დღისათვის. ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე მოქალაქე გადასახლდა, ამ შემთხვევაში ნიშნავენ დახმარებას თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, ამ მხარის კომპეტენტური ორგანოები უზრუნველყოფენ ყველა სხვა სახის იმ დახმარებით, რომელიც ნაჩვენებია არ არის ამ ხელშეკრულების 5 და 6 მუხლში, აგრეთვე სამედიცინო მომსახურებით და სხვადასხვა შეღავათებით იმავე ოდენობით, როგორც თავის მოქალაქეებს.

მუხლი 8



1. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქეებს, რომლებიც დროებით იმყოფებიან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, საქიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურება გაეწევათ საკუთარი მოქალაქეებისათვის დაწესებულ პირობებში.

2. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის მოქალაქეთა ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ გაგზავნის პირობებს არეგულირებენ განსაკუთრებული შეთანხმებით.

მუხლი 9

1. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიურ, საკონსულო, სავაჭრო წარმომადგენლობათა და სხვა დაწესებულებათა იმ მუშაკების სოციალური უზრუნველყოფა, რომლებიც სხვა სახელმწიფოებში იმყოფებიან, წარმოებს გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით, თუ აღნიშნული თანამშრომლები ამ სახელმწიფოს მოქალაქენი არიან. იგივე წესი გამოიყენება მაშინ, როცა ხორციელდება ხსენებულ დაწესებულებათა მუშაკებთან დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური უზრუნველყოფა, თუ ისინი მათი გამომგზავნი ქვეყნის მოქალაქენი არიან.

2. სოციალური უზრუნველყოფა მიწისზედა და საჰაერო ტრანსპორტის საწარმოთა, სამდინარეო და საზღვაო ნაოსნობის მუშაკებისა, აგრეთვე ერთი სახელმწიფოს სხვა საწარმოთა მუშაკების, რომლებსაც გზავნიან სამუშაოზე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე იმყოფებიან ამ საწარმოთა მმართველობის ორგანოები.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში ხსენებულ შემთხვევებში სოციალურ უზრუნველყოფას მისცემენ იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც გაგზავნეს მუშაკი.

4. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში აღნიშნულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების მიმართ მოქმედებს ამ ხელშეკრულების 7 მუხლის დებულება.

მუხლი 10

ყველა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ შეთანხმების თანახმად სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებასთან, ეწევა ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც იძლევა უზრუნველყოფას და ურთიერთანგარიშსწორება ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის არ წარმოებს.

მუხლი 11

განცხადებები და სხვა საბუთები, რომლებიც შეტანილი იყო კანონით დადგენილ ვადაში ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის კომპეტენტურ ორგანოებში ან დაწესებულებებში, აგრეთვე თავის დროზე შეტანილად ჩაითვ-

ლება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოებში /
ან დაწესებულებებში.

ამ შემთხვევაში საბუთები დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოებში ამ ხელშეკრულების 15 მუხლით გათვალისწინებული წესით.

ნაწილი მესამე

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების თანამშრომლობა

მუხლი 12

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები ითანამშრომლებენ სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების ყველა საკითხში.

2. ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები მხარეების ცენტრალური დაწესებულებები და ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან განახორციელონ სოციალური უზრუნველყოფა, აწარმოებენ გამოცდილების გაზიარებას, ინფორმაციას მიაწვდიან ერთმანეთს სოციალური უზრუნველყოფის მოქმედი კანონმდებლობის შესახებ და მის შემდგომ ცვლილებებზე.

მუხლი 13

1. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოები და დაწესებულებები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოქალაქეთა სოციალურ უზრუნველყოფის განხორციელებაში, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ორგანოებს და დაწესებულებებს უფასოდ გაუწევენ სამართლებრივ დახმარებას იმავე მრცულობით, როგორც სოციალური უზრუნველყოფის განხორციელების დროს საკუთარ სახელმწიფოში. ნაჩვენები ორგანოები ერთმანეთს მიაწვდიან საჭირო ინფორმაციას იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პენსიების და დახმარების დანიშვნისათვის, აგრეთვე საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ ამ გარემოებათა დასადგენად.

2. საბუთები, რომლებიც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის ტერიტორიაზე გაცემული იყო დადგენილი ფორმით ან დამოწმებული შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, მიიღება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე ლეგალიზაციის გარეშე.

მუხლი 14

ხელშეკრულების დამდები მხარეების დიპლომატიურ, და საკონსულო წარმომადგენლობათა თანამშრომლებს უფლება აქვთ განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე უშუალოდ ან ამაზე რწმუნების მქონე პირთა საშუალებით თავიანთი სახელმწიფოს მოქალაქეთა სახელით აწარმოონ ყველა საქმე, რომელიც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, და წარმოადგინონ მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოს დაწესებულებების და ორგანოების წინაშე.

1. ამ ხელშეკრულების განხორციელების დროს ხელშეკრულების დამდებმა მხარეების სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები უკავშირდებიან ერთმანეთს თავიანთი ცენტრალური დაწესებულებების და ორგანოების მეშვეობით, რომელთა სახელწოდებას ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

2. საკითხები, რომლებიც ვერ გადაჭრეს ცენტრალურმა დაწესებულებებმა და ორგანოებმა, გადაიჭრება დიპლომატიური გზით.

მუხლი 16

ხელშეკრულების დამდები მხარეები განახორციელებენ ამ ხელშეკრულებას თავიანთი ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ნაწილი მეოთხე
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 17

1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად პენსიებისა და დახმარებების დანიშვნის დროს კომპეტენტური ორგანოები მხედველობაში მიიღებენ შრომის სტაჟს (დაზღვევის სტაჟს), რომელიც შეძენილია ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

2. ამ ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა პენსიის უფლება წარმოიშვა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

3. პენსიები, რომლებიც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა დანიშნეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე და გადატანილ იქნა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შენარჩუნებულ იქნება და გადაიხდიან ხელშეკრულების დამდები იმ მხარის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზეც ხოვრობს პენსიონერი.

მუხლი 18

1. ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოხდება მოსკოვში.

2. ეს ხელშეკრულება იდება ხუთი წლის ვადით, მისი მოქმედების ვადა გრძელდება ყოველი შემდგომი ხუთი წლით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არ გააუქმებს მას, მაგრამ არა უგვიანეს ამ ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე.

3. ამ ხელშეკრულების დენონსაციის შემთხვევაში პენსიები, რომლებიც დანიშნულია და გაიცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, გაუთანაბრდება

პენსიებს, რომლებიც დანიშნულია ხელშეკრულების დამდები იმ მხარის მდებლობით, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობს პენსიონერი.

ამ ხელშეკრულების დებულებათა თანახმად წარმოშობილი უფლებანი არ კარგავენ თავიანთ ძალას ხელშეკრულების დენონსაციის შემთხვევაში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ბერლინში 1960 წლის 24 მაისს ორ ეკზემპლარად, თვითეული რუსულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

რის დასადასტურებლად რწმუნებულებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს.

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის რწმუნებით
გ. პარვუხინი.

გერმანიის დემოკრატიული
რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით
გ. ხაინიკა.

* * *

რეატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 14 ოქტომბერს;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 1960 წლის 1 სექტემბერს.

სარეატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1960 წლის 25 ოქტომბერს.

ო მ შ ი

1960 წლის 24 მაისს ბერლინში ხელმოწერილი ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სოციალური უზრუნველყოფის დარგში თანაფორმლობის უზრუნველყოფის

ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდნენ ქვემოთმოყვანილზე:

I

I მუხლის გამო

ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის ყველა სახეობაზე, რომელიც ეძლევათ მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთ და იმ პირებს, რომელნიც დევნილი იყვნენ ნაცისტური რეჟიმიით, აგრეთვე იმ პირებს, რომელნიც მსახურობდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ან სამხედრო დაწესებულებებში.

2 მუხლის გამო

ტერმინის „შრომითი ურთიერთობანი“-ს ქვეშ იგულისხმება, კერძოდ, კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც შეეხება შრომის ხელშეკრულებებს, სამუშაო დროს, შვებულებებს, ხელფასს, შრომის დაცვას, ახალგაზრდობის დაცვას, დედათა და ბავშვთა დაცვას, ქალის უფლებებს, ინვალიდთა უფლებებს.

III

5 და 6 მუხლის გამო

ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე პირის გადასახლებას 5 და 6 მუხლის მნიშვნელობით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი გადასახლება ხელშეკრულების დამდებ ამ მხარის ტერიტორიაზე ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის სათანადო ორგანოების თანხმობით. ეს ვრცელდება აგრეთვე ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მომხდარ გადასახლების შემთხვევებზე. ასეთ შემთხვევებში იგულისხმება, რომ არსებობდა თანხმობა ასეთ გადასახლებაზე, ვინაიდან გარემოებებიდან არ გამოძინარეობს საწინააღმდეგო.

IV

12 მუხლის გამო

გამოცდილების ვაზიარება სოციალური უზრუნველყოფის დარგში განხორციელდება, კერძოდ:

ა) ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის კომპეტენტურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის სპეციალური ლიტერატურის, ყურნალების და სხვაგვარი პუბლიკაციების გაცვლის გზით;

ბ) ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სოციალური უზრუნველყოფის განვითარებასა და შედეგებზე სათანადო პუბლიკაციების გზით;

გ) სოციალური უზრუნველყოფის დარგში სპეციალისტების ურთიერთ ვიზიტების გზით;

დ) სამეცნიერო-საკვლეო სამუშაოთა შედეგებზე ინფორმაციის გაცვლის გზით.

V

13 მუხლის გამო

ამ ხელშეკრულების შესაბამისად პენსიების დასაწინააღმდეგო საჭირო დოკუმენტები და საარქივო მასალები გაიცემა ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით.

VI

17 მუხლის 3 პუნქტის გამო

1. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე გადასცემენ ერთმანეთს იმ პენსი-

ონერთა სიებს, რომლებსაც ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნული ჰქონდათ პენსიები და ეს პენსიები იგზავნებოდა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების დამდები მხარეების სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც უგზავნიან პენსიებს ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, პენსიონერთა სიების გაცვლის დღიდან მესამე კალენდარული თვის გასვლის შემდეგ შეწყვეტენ აღნიშნული პენსიების გადაგზავნას. ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სოციალური უზრუნველყოფის კომპეტენტური ორგანოები, რომლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ეს მოქალაქეები, დაწყებული მეოთხე კალენდარული თვიდან დაიწყებენ მათთვის პენსიების გაცემას ადრე დადგენილი ოდენობით, თუ პენსიების ოდენობა აღემატება იმ პენსიებს, რომელნიც შეიძლებოდა დანიშნული ყოფილიყო ხელშეკრულების 5 მუხლის შესაბამისად. მაგრამ პენსიის ოდენობა არ უნდა იქნას იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო სახეობას პენსიის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი და მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რომელშიაც ცხოვრობს პენსიონერი.

2. ხელშეკრულების 10 მუხლის დებულებებს, რომელთა ძალით არ წარმოებს სოციალური უზრუნველყოფის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ურთიერთანგარიშსწორება, ძალა აქვთ 1 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებშიც.

VII

1. ამ ხელშეკრულების დებულებები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც აღნიშნულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეთანხმების 20 მუხლში, რომელიც დადებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის 1957 წლის 12 მარტს.

2. ამ ხელშეკრულების დებულებები არ ვრცელდება აგრეთვე პერსონალურ პენსიებზე.

ეს ოქმი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სოციალური თანამშრომლობის შესახებ.

შედგენილია ბერლინში 1960 წლის 24 მაისს ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის რწმუნებით

8. პერვუხინი.

გერმანიის დემოკრატიული
რესპუბლიკის პრეზიდენტის
რწმუნებით

3. ხაინიკი.

შეთანხმების დამდებმა მხარეებმა,

მხედველობაში მიიღეს რა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ავადმყოფობანი და მავნებლები და სარეველები ყველა ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის,

იხელმძღვანელეს რა სურვილით, გაფართოდეს თანამშრომლობა მავნებლებისა, ავადმყოფობათა და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვისა და კარანტინის დარგში და უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობათა და მავნებელთა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლისა და საკარანტინო ღონისძიებათა კოორდინაცია,

ემყარებიან რა საკარანტინო მავნებლების, ავადმყოფობათა და სარეველების შემოტანისაგან ტერიტორიების ურთიერთდაცვისა და ქვეყნებს შორის სამეურნეო და სავაჭრო კავშირის განვითარების ინტერესებს,

გადაწყვიტეს რა ამ მიზნით დადონ შეთანხმება, ამით შეთანხმდნენ ქვემო-მოყვანილზე.

მუხლი I

შეთანხმების დამდები მხარეები განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობათა და სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთა ნუსხა შეთანხმებას თან ერთვის. ეს ნუსხა შეიძლება შეიცვალოს მცენარეთა დაცვისა და კარანტინის საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომელიც მოიწვევა ამ შეთანხმების VIII მუხლის შესაბამისად.

მუხლი II

შეთანხმების დამდები მხარეები უზრუნველყოფენ ერთმანეთის რეგულარულ ინფორმაციას მცენარეთა საშიში მავნებლებისა და ავადმყოფობათა გავრცელების შესახებ და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ასეთი ინფორმაციების მიწოდების ნუსხასა და დროს აწესებს მცენარეთა დაცვისა და კარანტინის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ითვალისწინებს ამ შეთანხმების VIII მუხლი.

მცენარეთა განსაკუთრებით საშიში საკარანტინო მავნებლებისა და ავადმყოფობათა გაჩენის შემთხვევაში, რომელთა კერები აღმოჩენილი იქნება პირველად, ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ.

მუხლი III

შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდებიან გაუწიონ ერთმანეთს საჭირო ტექნიკური დახმარება მავნებლების, ავადმყოფობათა და სარეველების წი-

ნაღმდეგ ბრძოლაში მანქანების, აპარატურის, მოწყობილობის, შესამქიმიკატე ბის და სხვა მასალების მიყიდვის გზით მცენარეთა მავნებლებთან და ავადმყოფობასთან საბრძოლველად, აგრეთვე მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების იმ პირობებზე, რომლებზედაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სპეციალურად შეთანხმდებიან დაინტერესებული მხარეები.

მუხლი IV

შეთანხმების დამდები მხარეები განახორციელებენ:

1. მცენარეთა დაცვისა და კარანტინის დარგში საკანონმდებლო აქტების, ინსტრუქციების, დარიგებების, სპეციალური ლიტერატურისა და სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტების მეთოდისების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, სტატისტიკური და მცენარეთა დაცვისა და კარანტინთან დაკავშირებულ სხვა მასალების გაცვლას.

2. ურთიერთშეთყობინებას მცენარეთა დაცვისა და კარანტინის საკითხებზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კონფერენციებისა და თათბირების და მცენარეთა დაცვისა და კარანტინის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მომზადების შესახებ ისე, რომ შეთანხმების დამდებ მხარეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ მათში.

3. ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, მეცნიერ მუშაკთა და მცენარეთა დაცვისა და კარანტინის დარგის სპეციალისტთა ურთიერთმივლინებას მეცნიერებისა და მცენარეთა დაცვისა და კარანტინის საქმეში მიღწევათა შესწავლისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

4. სამეცნიერო ინსტიტუტების თანამშრომლობას ავადმყოფობათა და მავნებელთა შესწავლის დარგში, დიაგნოსტიკის მეთოდებისა და მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებას.

5. შეთანხმების დამდები ყოველი მხარის თხოვნით შეთანხმების დამდები ერთი ან რამდენიმე მხარის მცენარეთა დაცვისა და კარანტინის სპეციალისტთაგან შემდგარი ექსპედიციების მივლინებას, მცენარეთა საშიში მავნებლებისა და დაავადებათა შესწავლის, მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების გამონახვისა და დაავადებათა და მავნებელთაგან მცენარეთა დაცვისა და კარანტინის ღონისძიებების ორგანიზაციის მიზნით.

მუხლი V

შეთანხმების დამდები მხარეები კისრულობენ დაიცვან ერთიანი წესები მცენარეული ტვირთის ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის ფიტოსანიტარული პირობების შესახებ, რომლებიც იგზავნება ერთი ქვეყნიდან მეორეში. აღნიშნულ წესებს დაადგენს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების VIII მუხლში.

შეთანხმების დამდები მხარეები კისრულობენ მიიღონ ღონისძიებები იმ მიზნით, რომ არ დაუშვან ერთი ქვეყნიდან მეორეში საექსპორტო ტვირთთან ერთად ან სხვა გზით საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა ავადმყოფობისა და სარეველების შეტანა, რომელთა ნუსხები დადგენილ იქნება დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმებით.

ამ მიზნით შეთანხმების დამდები მხარეები კისრულობენ:

იმ რაიონებში, რომლებიც შეთანხმების დამდები მხარეების საზღვართან მდებარეობენ საკარანტინო მავნებლების, მცენარეთა ავადმყოფობისა და სარეველების სალიკვიდაციოდ გაატარებენ ღონისძიებებს ქიმიური, ბიოლოგიური, აგროტექნიკური და ყველა სხვა საშუალებებით;

თავიანთ ტერიტორიებზე დაწესებენ განსაზღვრულ სასაზღვრო პუნქტებს, რომელთა საშუალებით მოხდება მცენარეული წარმოშობის ტვირთთა შემოტანა და გატანა, მოაწყობენ რა ამ პუნქტებს საღებინსექციო კამერებით ტვირთთა გასაუსნებოვნებლად და ტვირთთა ნიმუშების საკარანტინო მავნებლებით და მცენარეთა ავადმყოფობით და სარეველებით ავადმყოფობის ანალიზის გასაკეთებელი საშუალებებით;

განახორციელებენ ერთი ქვეყნიდან მეორეში საექსპორტო მცენარეული წარმოშობის ტვირთთა და სატრანსპორტო საშუალებათა გულდასმით საკარანტინო შემოწმებას, აგრეთვე მოამარაგებენ ტვირთებს საკარანტინო სერთიფიკატორებით, რომლებსაც გასცემენ ქვეყანა-ექსპორტერის მცენარეთა დაცვისა და კარანტინის სახელმწიფო ორგანოები და რომლებიც ადასტურებენ, რომ ტვირთი არაა დაავადყოფებული საკარანტინო მავნებლებითა და ავადმყოფობით და სარეველებით;

თავს აარიდებენ შესაფუთავ მასალად ჩალის, ფოთლების და სასოფლო-სამეურნეო მცენარეულობის სხვა ნარჩენების გამოყენებას, ხოლო მათ მაგივრად გამოიყენებენ ნახერხს, ხის ბურბუშელას, ხავსს და ქვეყანა-ექსპორტერის პირობებიდან გამომდინარე სხვა შესაფუთავ მასალას. უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში დაუშვებენ შესაფუთავ მასალად ჩალისა და ფოთლების გამოყენებას მათი გაუფრთხილებლობის შემდეგ.

მუხლი VII

შეთანხმების დამდები მხარეები გასატარებელი საკარანტინო ღონისძიებების მოქმედების კოორდინაციის მიზნით და სასაზღვრო რაიონებში საკარანტინო მავნებლებისა და მცენარეთა ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში შეთანხმდებიან შექმნან სპეციალური კომისიები დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთაგან, მისცემენ რა აღნიშნული კომისიის წევრებს საზღვრის მრავალჯერ გადასვლისა და მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო დროის ფარგლებში მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას.



შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდნენ მოიწვიონ საპირობების ხედვით, მაგრამ არაიშვიათად, ვიდრე სამ წელიწადში ერთხელ, საერთაშორისო კონფერენციები კარანტინსა და მცენარეთა დაცვაზე ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადასწყვეტად, აგრეთვე ურთიერთ ინფორმაციისა და ამ შეთანხმებაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარების საქმეში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის დრო და ადგილი, აგრეთვე საკითხების ნუსხა, რომლებსაც განიხილავს კონფერენცია, დადგენილ იქნება შეთანხმების დამდები მხარეების მიერ.

შეთანხმების დამდები მხარეების კომპეტენტურ ორგანოებს შორის კავშირი ამ შეთანხმებიდან გამომდინარე საკითხებზე განხორციელებდა როგორც უშუალოდ, ასევე სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუდმივი კომისიის სამუშაო აპარატის საშუალებით.

კარანტინისა და მცენარეთა დაცვის ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხებზე წინადადებების მოსამზადებლად დაინტერესებული ქვეყნების შეთანხმებით კონფერენციებს შორის პერიოდში ამ ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შეიქმნება შეიქმნეს სპეციალური სამუშაო ჯგუფები.

მუხლი IX

ამ შეთანხმების დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები განაწილდება შემდეგნაირად:

1. II მუხლით და IV მუხლის I პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად ხარჯებს გაიღებს შეთანხმების დამდები მხარე, რომელიც გზავნის ამ მუხლებში აღნიშნულ ცნობებსა და მასალებს.

2. IV მუხლის 2 და 3 პუნქტებში და VIII მუხლში ჩამოთვლილ პირთა მიმოსვლისა და შენახვის ხარჯებს გაიღებს ამ პირთა გამგზავნი შეთანხმების დამდები მხარე.

3. IV მუხლის 4 და 5 პუნქტით და XII მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხარჯები განაწილდება დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმებით.

4. VIII მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო კონფერენციები ორგანიზაციისა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე ტარდება კონფერენცია.

ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერა შეიძლება 1960 წლის 1 ივლისამდე ქალქ მოსკოვში.

შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას.

სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ჩაბარდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს, რომელიც შეასრულებს შეთანხმების დეპოზიტარიუმის ფუნქციებს.

შეთანხმება ძალაში შევა მეხუთე სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების დღეს, რის შესახებ დეპოზიტარიუმი აცნობებს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

მუხლი XI

შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ მას შეუძლია შეუერთდეს ყოველი სახელმწიფო.

ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც შეუერთდება ამ შეთანხმებას, აგრეთვე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც თავის სარატიფიკაციო სიგელებს ჩააბარებენ შესანახად ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, შეთანხმება ძალაში შევა ასეთი სახელმწიფოს მიერ სარატიფიკაციო სიგელის ან შემოერთების დოკუმენტის ჩაბარების დღეს.

მუხლი XII

ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის შემდეგ შეთანხმების დამდებ ყოველ მხარეს შეუძლია მოახდინოს მისი დენონსირება, წერილობით შეატყობინებს რა ამის შესახებ დეპოზიტარიუმს.

ასეთი მონაწილის მიმართ შეთანხმება ძალას კარგავს დეპოზიტარიუმის მიერ დენონსაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი XIII

ეს შეთანხმება შედგენილია რუსულ ენაზე ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესანახად ჩაბარდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნო შეთანხმების დამდებ მხარეებს გაუგზავნის შეთანხმების სათანადო წესით დამოწმებულ პირს, აგრეთვე ინფორმაციას მიაწვდის სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ან შემოუერთდნენ ამ შეთანხმებას, სარატიფიკაციო სიგელების, შემოერთების და დენონსაციის დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ.

დადებულია ქალაქ სოფიაში 1959 წლის 14 დეკემბერს.

რის დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერებმა, შესაბამისი მთავრობების სათანადო წესით რწმუნებულებმა, ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ბ. კელეზი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ი. პრინციპი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ბ. ვაღიარ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ბ. რეინჰელტი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ლი სონ უნი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ვ. ტრომპინსკი

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
მ. ტანაკუ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
მთავრობის რწმუნებით
ვ. მაცკევიჩი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ლ. შტროუგალი.

• • •

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 25 ივნისს.

შეთანხმება ავადმყოფობათა და მავნებელთაგან მცენარეთა დაცვისა და კარანტინის დარგში თანამშრომლობის შესახებ ამ შეთანხმების X მუხლის შესაბამისად ძალაში შევიდა 1960 წლის 19 ოქტომბერს.

დანართი

ნ უ ს ს ა

უმთავრესი საკარანტინო ობიექტების — მავნებლების, ავადმყოფობათა და აბეზარი სარეველებისა

Acalla schalleriana L.

Agrius mali Mats.

Agrobacterium tumefaciens (E. F. Sm. et Towns) Conn.

Anthonomus grandis Boh.

- Aphelenchoides oryzae Vokoo.
Aphelenchoides fragariae (Ritz. Bos) Christie.
Xanthomonas citri (Hasse) Dowson.
Botrytis tulipae (Lib.) Hopk.
Carposina sasakii Mats.
Ceratitis capitata Wied.
Ceroplastes Floridensis Comst.
Ceroplastes japonicus Green.
Ceroplastes rubens Mask.
Ceroplastes rusci L.
Ceroplastes sinensis Guer.
Chalara quercina Henry.
Colletotrichum gossypii Sothw.
Corynebacterium sepedonicum (Spieck. et Kotth.) Skapt. et Burkh.
Cylas formicarius F.
Dacus dorsalis Hendel.
Dialeurodes citri Ashm.
Diarthronomyia chrysanthemi Ahlb.
Diatraca venosata Wlk.
Ditylenchus angustus (Butler) Filip. (Anguillulina).
Ditylenchus dipsaci (Kühn) Filip.
Deuterophoma tracheiphila Petri.
Endothia parasitica (Murr.) And. et And.
Epidiaspis leperii Sign.
Eriosoma lanigerum Hausm.
Ervinia amylovora (Burr.) Winslow et al.
Eumerus strigatus Flln.
E. tuberculatus Rond.
E. narcissi Smith.
Exobasidium japonicum Shir.
Fusarium bulbigenum Cooke et Mass.
Fusarium oxysporum f. gladioli (Mass.) Snyder et Hansen.
Gracilaria azalcella Brants.
Grapholitha inopinata Heinr.
Heterodera rostochiensis Woll.
Hyphantria cunea Drury.
Jcerya purchasi Mask.
Lampetia equestris Fab.
Laspeyresia molesta Busok.
Leptinotarsa decemlineata Say.
Leucaspis japonica Ckll.
Melanconis juglandis (Ellis u. Everh.) Graves.

- Nectria coccinea* (Pers.) Fr.
Numonia pyrivorella Mats.
Ovulinia azaleae WeiB.
Pantomorus leucoloma Boh.
Pectinophora gossypiella Saund.
 Neu: *Platyedra* g. Saund.
Phthorimaea ocellatella Boyd.
Phthorimaea operculella Zell.
Phyllocoptes oleivorus Ashm.
Phylloxera vastatrix Planch.
 Neu *Viteus vitifolii* (Fitch.) Shlm.
Phymatotrichum omnivorum (Shear) Duggar.
Bacterium stewarti (Sm. E.) E. F. Smith.
Phytophaga destructor Say.
 Neu: *Myetiola* d. Say.
Piesma quadrata Fieb.
Plasmodiophora brassicae Woron.
Polyspora lini Peth. et Laff.
Popillia japonica Newm.
Prays oleellus F.
Pseudaulacaspis pentagona Targ.
Pseudococcus gahani Green.
Pseudococcus comstocki Kuw.
Pseudomonas hyacinthi (Wakk.) E. F. Smith.
 Neu: *Xanthomonas hyacinthi* (Wakk.) Dowson.
Pseudomonas marginata. (Mc. Cull. Stapp.)
Pseudomonas suringae f. sp. *populea* (v. Hall) Dowson.
Pyroderces rileyi Wals.
Diaspidiotus perniciosus Comst.
Rhagoletis cerasi L.
Rhagoletis pomonella Walsh.
Saperda candida F.
Sclerotinia bulborum (Waik.) Rehm.
Sclerotinia gladioli (Mass.) Dray.
Septoria azaleae Vogl.
Septoria linicola (Speg.) Gar.
 s. *Mucosphaerella linorum* Woll.
Sphaeronema fimbriatum.
 (Ceratostomella f.) (Ell. et Halsted.).
Spongospora subterranea (Wallr.) Johnson.
Synchytrium endobioticum (Schilb. Perc.
Tarsonemus fragariae Zimmerm.

Taeniothrips simplex Moris.
Tetradacus citri Chen.
Tilletia brevifaciens Fisch.
Tilletia indica Mitra.
Tortrix vonubana Hbn.
Unaspis yanonensis Kuw.
Uromyces befae Lev.
Xanthomonas begoniae (Takim) Dowson.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 საბჭოთა კავშირ-განის საპატრო უმთავრესი რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაცი-
ოდ წარმოდგენილი სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-
ლიკების კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში
1960 წლის 4 აგვისტოს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭეთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“
ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს,
რომელთაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. თამარ გიორგის ასულ ბაცაშვილს — ოქტომბრის რევოლუციის სახე-
ლობის კოლმეურნეობის წევრს, გურჯაანის რაიონი.

2. რუთო რაფიელის ასულ ბინიაშვილს — დიასახლისს, ცაგერის რაიონის
სოფელი ლაილაში.

3. ლიუდმილა კიმოტეს ასულ ბურჯანაძეს — სტალინის სახელობის კოლ-
მეურნეობის წევრს, ქალაქი ჭიათურა.

4. პივა იონას ასულ ბუტბაიას — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის
წევრს, აფხაზეთის ასსრ ვალის რაიონი.

5. ერანაჯ ამბარცუმის ასულ ვოსკანიას — კოლმეურნეს, წალკის რაიონის
სოფელი ჩივთქილისა.

6. თამარ მიხეილის ასულ გულთას — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი.

7. თათუშა ალექსანდრეს ასულ კვაშილავას — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონი.

8. ოლღა სამსონის ასულ ლაგვილავას — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელი მეორე გუდავა.

9. ქეთევან სანდროს ასულ ტყემალაძეს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ქალაქი ჭიათურა.

10. ნუცა ვლადიმერის ასულ ხინჩაგაშვილს — კოლმეურნეს, დუშეთის რაიონის სოფელი გრემისხევი.

11. ანასტა კონსტანტინეს ასულ ჩაკლოვას — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

191 **ლეიტენანტ ა. ვ. ლეინიას წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სარდლობის დავალების შესრულების დროს გამბედაობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ლეიტენანტი ალექსანდრე ვლადისლავის ძე ლეინია დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 28 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რეზიუმის სიგელები გადასცა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა სერ ფრენკ რობერტსმა

ა. წ. 31 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ლ. ი. ბრეჟნევი** კრემლში მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სერ ფრენკ რობერტსი, რომელმაც გადასცა თავისი რეზიუმების სიგელები.

ელჩს ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ვ. ბარკერი, მრჩეველი დ. ა. სენიორი, პირველი მდივნები კ. რ. ოკუოტი, კ. მ. ჯეიმი, ა. ჯ. ვ. ჯორჯი, ტ. რ. ოსტინი, მეორე მდივნები მ. ჯ. ე. ფრეტველი, ს. ვ. მარტინი, რ. ა. ლონგმაირი, მ. ჯ. ფ. დუნკანი, სამხედრო-სახლგაო ატაშე კეპტენი ჯ. ფ. რ. დრეიერი, სამხედრო ატაშე ბრიგადის გენერალი ი. რ. ბაროუსი სამხედრო-



საპაერო ატაშე ავიაციის კომოდორი ფ. ჯ. სანდერსი, რომლებიც ელჩმა **საბჭოთა კავშირის** ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სობოლევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-2 ევროპული განყოფილების გამგე ნ. დ. ბელოზვოსტიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე დ. ს. ნიკიფოროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი ნ. პ. კოკტომოვი და სხვები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და სერ ფრენკ რობერტსმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გაცვლის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევს საუბარი ჰქონდა სერ ფრენკ რობერტსთან, რომელსაც ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე და ა. ა. სობოლევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განათლების საქმეში და კომუნისმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია მოლდავეთის სსრ მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები, რომლებსაც პატივი ხვდათ არჩეული ყოფილიყვნენ დელეგატებად მოლდავეთის მასწავლებელთა II ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 529 კაცი, აქედან: ლენინის ორდენით — 37 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 79, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 119 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 294 კაცი.

ც ნ ბ ა

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ

1960 წლის 23 ოქტომბერს შედგა ეროვნებათა საბჭოს არჩევნები ანდიყანის № 83 სასოფლო საარჩევნო ოლქში უზბეკეთის სს რესპუბლიკიდან.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ანდიყანის № 83 სასოფლო საარჩევნო ოლქში არჩეულია ამხ. იადგარ სადიკის ასული ნასრიდინოვა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართ-
ლოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას, 1960 წლის 18 დეკემბერს;

2. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ჩატარდეს 1960 წლის 20 ნოემბრიდან 1960 წლის 15 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჩინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაღდათაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 9 ნოემბერი.